

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
ინდივიდუალური დახმარების პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე („უსინათლო“, და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) პირთათვის (შემდგომში “ბენეფიციარი“) კომუნალურ გადასახადებზე (გაზი, ელ. ენერჯია) შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო და ამასთან დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

2. პროგრამით მოსარგებლე პირთა შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ბაზებისა და განმცხადებლის მიერ წარმოადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. პროგრამით მოსარგებლეთა კრიტერიუმებთან შესაბამისობა და პროგრამაში მათი ჩართვის შესაძლებლობა განისაზღვრება შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

- ა) განცხადება ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი ფორმა IV-50/4 (სტატუსით „უსინათლო“, დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი)

დ)მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი–აქტი, წარმოდგენილი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ (სასურველია წარმოდგენილი იქნას საცხოვრებელი ადგილის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ან ამონაწერის არქონის შემთხვევაში ბინის ორდერის ასლი).

ე)პროგრამით მოსარგებლე პირთა ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, იმ შემთხვევაში თუ განცხადება წარმოდგენილია ოჯახის წევრის მიერ.

ვ)ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

1.პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება განხორციელდება პროგრამის ბენეფიციართა ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაწეული კომუნალური გადასახადების (გაზი; ელ. ენერჯია) ხარჯების დაფარვით, ამ პროგრამის მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წლიური ლიმიტის ფარგლებში.

2.ბენეფიციარისათვის დახმარების გაწევა განხორციელდება წარმოდგენილი ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიღებული კომუნალური გადასახადების (გაზი; ელ. ენერჯია) დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) მიხედვით.

3.ბენეფიციარისათვის გადარიცხული თანხის ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ წლიურ ლიმიტს.

4.პროგრამით მოსარგებლე პირის მიერ ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

მერიას, რათა მოხდეს ინდივიდუალური დახმარების პროგრამის განხორციელება დროულად და უწყვეტად.

5.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ყოველი ახალი განცხადების შემთხვევაში, ახორციელებს ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის გადამოწმებას (შესაბამისი აქტით), ამავდროულად, ბენეფიციართა ფაქტიური საცხოვრებლის გადამოწმებას ახდენს კვარტალში ერთხელ.

6.პროგრამა ითვალისწინებს სავარაუდოდ 195 (ასოთხმოცდათხუთმეტი) ბენეფიციარის დახმარებას. რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, მოწოდებულ ბაზებში რეგისტრაციიდან მოხსნის, ახალი ბენეფიციარის დამატების ან ბენეფიციარის გარდაცვალების საფუძველზე.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტია 93 600,00 (ოთხმოცდაცამეტი ათას ექვსასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	93 600,00 ლარი
I კვარტალი	33 600,00 ლარი
II კვარტალი	25 000,00 ლარი
III კვარტალი	20 000,00 ლარი
IV კვარტალი	15 000,00 ლარი

2.პროგრამით მოსარგებლე თითოეული ბენეფიციარის ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა;

ა)ბუნებრივი აირით სარგებლობისათვის – 240 ლარი;

ბ)ელექტრო ენერჯით სარგებლობისათვის – 240 ლარი;

3.პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს დადგენილი წლიური ლიმიტირებული თანხის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ 2018 წლის განმავლობაში. განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, გადაჭარბებულ თანხას აანაზღაურებენ ბენეფიციარები.

4.2018 წლის დეკემბრის დავალიანებები აისახება 2019 წლის იანვარში სს "ენერგო-პრო ჯორჯიასა" და შპს "სოკარ-ჯორჯია გაზიდან" წარმოდგენილი ქვითრების საფუძველზე. (ამ პუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ ოჯახებზე, რომლებიც 2018 წელს სარგებლობდნენ არსებული პროგრამით და დეკემბრის თვეში ამოწურული არ ჰქონდათ პროგრამით დადგენილი ლიმიტი).

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულა) მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილნი იქნებიან მათთვის საჭირო ბუნებრივი აირით და ელ. ენერგიით.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

წინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი